ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება № 6897494

გაცემის თარიღი: 21/02/2024

გაცნობის თარიღი: -

განცხადების ნომერი: AR11012925
შემოსვლის თარიღი: 13/02/2024
შედეგი: **შუალედური**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.16.05.012.029
- მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა დ. აბაშიძე , N 10
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 3986.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): შპს "ურბან ელექტრიკი" (404604905)

ნომენკლატურა :

- **I კლასი**
- **60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- ნინო ბოჭორიშვილი პ/ნ 01024090771
- მისამართი: თბილისი მისამართის გარეშე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2024 წლის 13 თებერვლის AR11012925 განცხადება.

პასუხად გაცნობებთ, ***საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის N3/181 ბრძანების თანახმად, ქ. თბილისში, დ. აბაშიძის ქ. N10-ში არსებული შენობას მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი და „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით თქვენ მიერ განსახორციელებული სამუშაოები კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოადგენს სარეაბილიტაციო სამუშაოებს. აქედან გამომდინარე, განაცხადი უნდა დარეგისტრირდეს შესაბამის ნომენკლატურაში: ელექტრონული განაცხადები>მშენებლობის ნებართვა>კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი სარეაბილიტაციო სამუშაოები. აღნშნული ქმედების განხორციელების მიზნით სამსახურის მიერ გააქტიურებულია ნომენკლატურის ცვლილების უფლება. განგიმარტავთ, რომ საპროექტო არეალი განთავსებულია უძრავი ძეღის ტერიტორუაზე; კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, უძრავი ძეგლის ტერიტორია არის „უძრავ ძეგლზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამაგრებული მიწის ნაკვეთი, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში – უძრავი ძეგლის მიერ უშუალოდ დაკავებული ტერიტორია“.***

ამასთანავე გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1..სამსახურის მიერ 20/08/2021 წლის № 5531763 ბრძანებით მოწონებულ იქნა ქ. თბილისში (სექტორი – ჩუღურეთი), დ. აბაშიძის ქ. N10-ში (ძეგლი) მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების კორექტირებული პროექტი; გაიცა უძრავ ძეგლზე სამუშაოების ნებართვა და სანებართვო მოწმობა; წარმოდგენილი საპროექტო გადაწყვეტით, შენობის განთავსება ხდება ტერიტორიის დასავლეთ მონაკვეთში,სადაც მოწონებული პროექტის მიხედვით გათვალისწინებული იყო სველი წერტილები და ვერტიკალური ბაღი. საჭიროა წარმოდგენილი იქნეს განმარტება აღნიშნულთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში სამსახურს მომართოთ შეთანხმებული პრორექტის ცვლილების მოთხოვნით;

2. არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი :

- წარმოდგენილი იქნეს დათრიღებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოები, ერთიანი ხედებით ტერიტორიის სრულად ჩვენებით, ასევე ზედა ხედიდან;

3. არ არის წარმოდგენილი სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი შემადგენლობით:

- შემსრულებლის მიერ ხელმოწერილი განმარტებითი ბარათი სამუშაოების აღწერით, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით;

- არსებული და საპროექტო გენგეგმა საკადასტრო საზღვრებით, ღერძებით, ღერძებს შპროს მანძილებით, ასეევე გენგეგმაზე ნაჩვენები იქნეს არსებული ხე-ნარგავები და მანძილი ხენარგავებამდე. იმ შემთხვევაში, თუ ხდება არსებულ ხე-ნარგავების მოჭრა/გადარგვა, საჭიროა წარმოდგენილი იქნეს ხარისხობრივი შეფასება და შესაბამისი ტაქსაცია; - გეგმა, ჭრილი, ფასადი; - შემსრულებლის მიერ მშენებლობის ორგანიზების პროექტი (ტექსტური ნაწილი, სამუშაოების გრაფიკი);

4. არ არის წარმოდგენილი ისტორიულ-არქიტეტურული, ანალიტიკური ინფორმაცია (სახელოვნებათმცოდნეო კვლევა);

5. არ არის წარმოდგენილი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა;

6. წარმოდგენილი იქნეს კონსტრუქციული პროექტი.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი